*დანართი №2*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

*(სსიპ - ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლა)*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: თამთა კობახიძე

**წევრები:**

როლანდ შავაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ფიქრია მუმლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

აკაკი სადუნიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა ფანცულაია - უცხო ენების საგნობრივი ექსპერტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ლეილა ხელისუფალი - ესთეტიკური ენის საგნობრივი ექსპერტი

ლაშა სარალიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ირინე ჯანაშია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ირმა შველიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

მაკა ნატროშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

კობა დეკანიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

**ნაწილი I.**

**შესავალი**

**I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | **სსიპ - ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლა** |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | **საჯარო სამართლის იურიდიული პირი** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 215113400 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | **ქალაქი ფოთი** |
| იურიდიული მისამართი | **ქ.ფოთი, ვიქტორ კრატასიუკის ქ.#1** |
| ფაქტობრივი მისამართი | **ქ.ფოთი, ვიქტორ კრატასიუკის ქ.#1** |
| საფოსტო ინდექსი | **4400** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | **სკოლა არ აქვს ვებ-გვერდი** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | **Poti12@mes.gov.ge** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | **551093540** |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | 694883 – 15.06.2023 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 11.07.2023 – 12.07.2023 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

*„ზოგადი განათლების შესახებ“* საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ქართული ენა | ქ.ფოთი, ვიქტორ კრატასიუკის ქ.#1 |
| | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ქართული ენა | ქ.ფოთი, ვიქტორ კრატასიუკის ქ.#1 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ქართული ენა | ქ.ფოთი, ვიქტორ კრატასიუკის ქ.#1 |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლაში ვიზიტი განახორციელა ცენტრის დირექტორის მოადგილის 16 ივნისის N694883 ბრძანების საფუძველზე. ვიზიტის დღეებად განისაზღვრა 2023 წლის 11 და 12 ივლისი. დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტი განახორციელეს განათლებისა და საბუნებისმეტყველო საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებმა. სხვა საგნობრივი ექსპერტების ჩართვები განხორციელდა 15:00 საათიდან, ონლაინ თიმსის პლატფორმის გამოყენებით სამ პარალელურ სესიად. თითოეული საგნობრივი ექსპრტისათვის განკუთვნილი იყო შეხვედრის დრო - 1 საათი. საგნობრივმა ექსპერტებმა ყველა საკითხი ამოწურეს პირველ დღეს, შესაბამისად ვიზიტის მეორე დღეს მათი ჩართვების საჭიროება არ დამდგარა.
განათლების ექსპერტებმა სკოლის დირექციასა, ადმინისტრაციულ პერსონალთან და პედაგოგებთან ინტერვიუები გამართეს წინასწარ შეთანხმებული განრიგის შესაბამისად. პირველ დღეს გაიმართა შეხვედრების სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, კურიკულუმის განვითარების, მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკითხების შესწავლის მიზნით. ვიზიტის მეორე დღეს გამართული შეხვედრების უმრავლესობა ეხებოდა სკოლის ფინანსური და მატერიალური რესურსების შესწავლის საკითხებს. ექსპერტებმა ასევე დაათვალიერეს სკოლის
ვიზიტი მიმდინარეობა თანამშრომლობით გარემოში. სკოლამ უზრუნველყო სათანადო სამუშაო პირობების შექმნა ექსპერტებისათვის. ყველა მასწავლებელი და ადმინისტრაციული პერსონალი მობილიზებული იყო ვიზიტის ფარგლებში წარმოშობილი საჭიროებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

*სსიპ - ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლის გამორჩეული პრაქტიკა გუნდობა და თანამშრომლობითი ატმოსფეროა. სკოლის ყველა თანამშრომელი (პედაგოგები, ადმინისტრაცია) სრულად ჩართული იყო ყველა პროცესში. პედაგოგები ასახელებდნენ სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ეტაპებს, ადასტურებდნენ, აღწერდნენ და საუბრობდნენ ისეთ პროცესებზე, რაც სასწავლო პროცესში მათ უშუალო პასუხისმგებლობას არ წარმოადგენს. თანამშრომლობა დასტურდება არამხოლოდ მენეჯმენტისა და ადმინისტრაციული მართვის საკითხებთან მიმართებით, არამედ საგაკვეთლო პროცესში (ინტეგრირებული გაკვეთლები, მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა). ამის დამდასტურებელია ის მრავალფეროვანი პროექტები, რაც მასწავლებლებმა ურთიერთთანამშრომლობის დაფუძველზე დაგეგმეს და განახორციელეს. შესაბამისად, სკოლაში ჯანსაღი, თანამშრომლობაზე ორიენტირებული და კოლეგიალური გარემოა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებას.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | **X შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | **X შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>X მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | |
|---|---|
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **X შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება**

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა:<br><br>**550** | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br><br>☒ | **აღწერა**<br>***(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*** |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br><br>☐ | **იმ შემთხვევაში თუ დაწესებულება სასწავლო პროცესს განახორციელებს ორ ცვლაში.** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.**

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა - სრული შესაბამისობა;
საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა - სრული შესაბამისობა;
საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა - სრული შესაბამისობა.

**IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| | | ............. |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული<br>და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | ............... |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N.2.2* | | ............. |
| | | |

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | ............. |

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილბივი შესაბამისობისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| *3.4.1.1* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | *ვიზიტის ეტაპზე სკოლას დაწყებული ჰქონ[...] პროცედურა* საგანგებო სიტუაციების მართვ[...] სააგენტოსთან. სკოლა ითხოვს „შენობა-ნაგებობ[...] სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებე[...] ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან [...] სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას. *ასე[...] საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმის შეთანხმებ[...] პროცესი დასრულებული არ არის. შესაბამისობის გეგმ[...] თანახმად პროცესი უნდა დასრულდეს 2023 წლ[...] ნოემბრის თვეში.* |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობ<br>რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *2.2.2.5.* | სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; | *ვერიფიკაციის მექანიზმი დოკუმენტური სახით არ არის დამტკიცებული. შესაბამისობის გეგმის თანახმად შესრულების ვადაა 2023 წლის ნოემბერ-დეკემბერი.* |
| | | |
| | | |

VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | ............. |
| | | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესი<br>ადმინისტრაციული<br>და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N.3.2.1* | | ............... |
| ***3.2.1.2.*** | პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; | სასურვლია პროცესების მენეჯმენტის უკეთ განხორციელების მიზნით, სკოლამ შეიმუშავოს პერსონალის საჭიროებების დადგენისა და მასზე რეაგირების მექანიზმიც დოკუმენტის სახით, სადაც თავმოყრილი იქნება ზემოაღნიშნულ ინდიკატორებზე დაფუძნებული ინფორმაციის ანალიზი. |
| ***3.6.1.2.*** | ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. | მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე სასურველია კომპიუტერული ტექნიკის ზრდა. |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *რჩევა* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2.1.1.1..* | კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას; | ***სასურველია უფრო მეტად დაიხვეწოს მეთოლოგიური ჩარჩო, სასკოლო საზოგადოებას აღნიშნული მიმართულების უფრო მეტად დახვეწისთვის, რჩევის სახით ვთავაზობთ შეიქმნას საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ისეთი რუბრიკა, რომელიც მორგებული იქნება საგნობრივი ცნებებზე მუშაობის გაანალიზებასა და შემდეგში მოდიფიცირებას. (დაწყებითი და საშუალო საფეხური)*** |
| *2.1.2.5.* | დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. | სკოლამ გრძელვადიან მიზნების მისაღწევად , კურიკულუმში **სამიზნე ცნებების** საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად უნდა წარმოადგინოს ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. ვინაიდან ქვეცნებები არის ის საყრდენი ერთეულები, რომელებიც განსაზღვავენ კონკრეტულ საკითხებს და ქვესაკითხებს, რომელთა საშუალებითაც მუშავდება სამიზნე ცნება (პასუხი კითხვაზე რაზე დაყრდნობით, რის საშუალებით მივდივართ მიზნისკენ?) ,გაწერილი უნა გვქონდეს კურიკულუმის ჩარჩოში, ასევე უნდა გაიწეროს შუალედური მიზნის მისაღწევად საჭირო რესურსებიც ცალკეული თემის ფარგლებში. (საბაზო საფეხური). |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

**ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)**

**1. სკოლის ფილოსოფია**
**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**
**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

1. დაწესებულების 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის მისია, რომელიც ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლას ასევე გააჩნდა 2015-2021 წლების სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იყო მისია და ხედვა. დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიურების საფუძველზე დადასტურდა, რომ არსებული სკოლის მისია და ხედვა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისობაშია. აგრეთვე სკოლაში ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში სკოლას ახალი სტრატეგიული გეგმა ექნება, რომელიც დაეყრდნობა ახალ მისიასა და ხედვას. სკოლაში ჩატარდა თვისებრივი კვლევები, რომელთა მიზანი იყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის ახალი მისიისა და ხედვის ფორმულირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს: კერძოდ, სკოლას ჰყავს მანდატურები, ექიმი, სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, დისციპლინური კომიტეტი, უცხო პირის შესვლაზე პასუხისმგებელი პირი, სათვალთვალო კამერები. სკოლაში არსებობს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. სკოლაში თვალსაჩინოდ გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და საგანგებო სიტუაციის შესახებ დოკუმენტი. არსებობს ცეცხლმაქრები და სახანძრო დაფა. ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ როგორც მასწავლებლები, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი სრულად იზიარებს უსაფრთხოებასა და განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნის ძირითად პრინციპებს - თანამშრომლობას, ხელშეწყობას, უსაფრთხოების წესების დაცვა და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. როგორც ვიზიტის დროს ინტერვიუებისას გამოიკვეთა, სკოლაში დამკვიდრებულია ფუნქციათა დელეგირების პრაქტიკა. სკოლაში შექმნილი და დამტკიცებულია ახალ მისიასა და სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედსაბჭოს, კათედრების, მშობელთა

საზოგადოების და მოსწავლეთა თვითმმართველობის, წარმომადგენლები. ჯგუფი დოკუმენტზე მუშაობის დასრულებას 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე მოიაზრებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ, რაც გამოიხატება სკოლაში ჩატარებული სხვადასხვა სახის ღონისძიებებით, რომლებიც დოკუმენტირებულია და ასევე სკოლის სოციალურ ქსელის გვერდზეა გაზიარებული. ინტერვიურების დროს ყველა პედაგოგმა ჩამოაყალიბა ის პორცესები, რასაც სკოლა გადის ახალი მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბების ეტაპზე. აღწერეს და დაასაბუთეს უკვე არსებული მისიისა და ხედვის განახლების აუცილებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის საქმიანობის ამსახველი მასალები ხელმისაწვდომია სკოლის სოციალურ ქსელში. სკოლაში არსებობს საინფორმაციო დაფა. ასევე კლასის დამრიგებლები სკოლის საქმიანობაზე მშობელთა ინფორმირებას ანიჭებდნენ დიდ მნიშვნელობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-23;
- სსიპ - ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-11;
- სოციალური ქსელი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

1. სკოლას ვიზიტის პერიოდში დაწყებული ჰქონდა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე მუშაობა. მიმდინარეობდა სასკოლო საზოგადოების ინტერესების და მიმდინარე გამოწვევების საფუძველზე გრძელვადიანი და შუალედური პრიორიტეტების განსაზღვრა. სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 29 ივლისის 2 – 64 ბრძანების თანახმად დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლისა და სტრატეგიული დაგეგმვის მექანიზმებს, თუმცა დოკუმენტი ჯერ კიდევ დამუშავების ეტაპზე იყო. შესაბამისობაის გეგმით სკოლამ წარმოადგინა სათანადო წესით შემუშავებული სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებაში 2023 წლის 29 მარტის N2-30 ბრძანებით განისაზღვრა სკოლის 7 წლიან სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე შიდა სასკოლო ჯგუფის შემადგენლობა, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც დირექციასა და პედაგოგებს, ასევე მოსწავლეს, მშობელსა და სამურვეო საბჭოს წარმომადგენელს. როგორც ვიზიტისას ინტერვიუებში გამოიკვეთა სკოლა დასახულ ამოცანებს 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე დაასრულებს. 2015-2021 წწ-ის სტრატეგიული გეგმა კი დაფუძნებული იყო სკოლის იმდროინდელ მისია, ხედვასა და ღირებულებებზე. სკოლას დასახული ჰქონდა მისიასთან თავსებადი, მიღწევადი მიზნები და ამოცანები. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფმა დაადასტურა პროცესში სრული ჩართულობა, სკოლამ წარმოადგინა უკვე განხორციელებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (SWOT ანალიზი, გამოკითხვის შედეგები, რეფლექსიები), რაც ექსპერტებს აძლებს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას გააჩნია მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დაასრულოს სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც აისახა შესაბამისობის გეგმაში და სკოლამ ექსპერტთა დასკვნის ჩაბარების საბოლოო ეტაპზე წარმოადგინა სათანადო წესით შემუშავებული, განხილული და დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას ამჟამად აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა პრაქტიკა, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დირექტორის ანგარიშში აისახება რეფლექსიის შედეგად გამოვლენილი მომავალი წლის გეგმის პრიორიტეტული საკითხები, განიხილება სასკოლო საზოგადოებასთან და იგეგმება ახალი სასწავლო წელი არსებული გამოწვევების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სკოლაში მიმდინარე პროცესები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლა ახალი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად დახვეწავს სამოქმედო გეგმებს. რაც აისახა შესაბამისობის გეგმაში და სკოლამ ექსპერტთა დასკვნის ჩაბარების საბოლოო ეტაპზე წარმოადგინა სათანადო წესით შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ამ ეტაპზე არსებულ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმის მიზნები და ამოცანები, რომელთა შესრულება შესაძლებელია, გაზომვადია და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. მომავალი საწავლო წლიდან სკოლას ექნება ახალი სტრატეგიული გეგმა, და შესაბამისად გამოიკვეთება ახალი 2023-2030 წწ. სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის სტრატეგიის 7 წლიან გეგმაზე მომუშავე შიდა სასკოლო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;(29.03.2023 – 2-30,)
- სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის 7 წლიან სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ (29,26,2023 2 -64);
- 2015-2021 წლების სტრატეგიული გეგმა, მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმა;
- SWOT ანალიზის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები, გამოკითხვის შედეგები, რეფლექსიები.
- სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების გამოცდილება. ამ დრომდე სკოლის სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ეყრდნობოდა გეგმაში გაწერილ აქტივობებზე პასუხისმგებელ პირებისს რეფლექსიებსა და ანგარიშებს. სკოლა მუშაობს დასახული ამოცანების მონიტორინგი-შეფასების ახალი სისტემის შექმნაზე, რომელიც დასრულდება 2023 წლის სექტემბერში. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის არსებულ დოკუმენტში (რომელიც ამ ეტაპზე დამუშავების პროცესშია) ჯერჯერობით მონიტორინგის საკითხები გათვალისწინებული არ არის, თუმცა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას გადაწყვეტილი აქვს მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრული მოდიფიცირება. სკოლას ასევე აქვს კონკრეტულ აქტივობებზე (მაგ. სამოქმედო გეგმის შესრულება, კითხვარის დამუშავება) გაწერილი გეგმა შესრულების თარიღებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით. აქედან გამომდინარე, სკოლას აქვს მზაობა რომ ახალ სტრატეგიულ გეგმასთან ერთად შედგეს ამ გეგმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის სრუყოფილი დოკუმენტი. რაც აისახა შესაბამისობის გეგმაში და სკოლამ ექსპერტთა დასკვნის ჩაბარების საბოლოო ეტაპზე წარმოადგინა სათანადო წესით შემუშავებული, განხილული და დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელთა ანალიზი წარმოგვიდგენს მონიტორინგის საკითხებს, ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

2. სკოლას აქვს საზოგადოების წევრებისაგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინების საშუალება ( სოცქსელი, ელ.ჟურნალის კომენტარები, პროექტები/ ღონისძიებები, კვლევები); სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. როგორც აღინიშნა სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლისათვის მეთოდოლოგიის მოდიფიცირებას.

3. როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა სკოლა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს ავრცელებს კლასის დამრიგებლების მეშვეობით ზეპირად, რომელიც აქამდე არ ყოფილა დაოქმებული. სამომავლოდ იგეგმება შედეგების სკოლის სოციალურ ქსელში, წარმოადგენს საინფორმაციო დაფაზე, არაფორმალური სწავლების აქტივობებზე, კლუბების საქმიანობის პროცესში , მოსწავლეთა თვითმმართველობასთან შეხვედრებზე გაზიარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ინტერვიურების პროცესში დადასტურდა, რომ კათედრის სხდომებზე, პედაგოგოიურ საბჭოსა და სხვა არაფეორმალურ შეხვედრებზე მუდმივად განიხილება სკოლის წინაშე არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები კი გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის, თვითრეფლექსიაზე დაყრდნობით: რას ვაკეთებთ? როგორ ვაკეთებთ? რა პრობლემებია და როგორია გადაჭრის გზები? **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (სამუშაო დოკუმენტი)
- მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმა;
- კითხვარებისა და სამოქმედი გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ არსებული დოკუმენტაცია.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

  ☒ შეესაბამება

  ☐ მეტწილად შეესაბამება

  ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

  ☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დაწესებულება არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულები, მათი წარმომადგენლები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ხელს უწყობენ სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. დაწესებულების სტრუქტურა მოიცავს: დირექტორს, დირექტორის მოადგილესა და ბუღალტერს (დირექცია), საქმისმწარმოებელს, მნესა და ბუღალტერს (ადმინისტრაცია), 24 მასწავლებელს, ინკლზიური განათლების 2 სპეციალისტს, ექიმს, 2 მანდატურს, 3 დამხმარე პერსონალს (ცეცხლფარეში და დარაჯი).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას ასევე გააჩნია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.

იმ სტრუქტურული ერთებულებისა და პირების ფუნქცია-მოვალეობები, რასაც საკანონმდებლო აქტები არ არეგულირებს, გაწერილია ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებსა და დებულებებში. თითოეული სტრუქტურა საქმიანობას ახორციელებს მკაფიოდ გაწერილი დებულების მიხედვით. ინტერვიუს პროცესში სკოლის მხრიდან აღინიშა, რომ მეტი სიცხადისათვის მომავალი სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს პერსონალთან შეთანხმების გაფორმების პრაქტიკის დანერგვას. თითოეულ პირთან/სტრუქტურული ერთეულის წევრთან სასწავლო წლის დასაწყისში/სამუშაო ხელშეკრულების დადების დროს გაფორმდება შეთანხმება, რომელშიც მკაფიოდ იქნება გაწერილი მისთვის განკუთვნილი ფუნქცია/მოვალეობების ჩამონათვალი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.. დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია. სამეურვეო საბჭოში, პედსაბჭოში, კათედრებზე, დისციპლინურ კომიტეტში, მოსწავლეთა თვითმმართველობაში ირჩევენ თავმჯდომარეს, მოადგილესა და მდივანს კანონით დადგენილი წესითა და პროცედურებით. ინტერვიურების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დახვეწის შემდეგ იგეგმება ყველა სტრუქტურული ერთეულის ანგარიშვალდებულების საკითხის კიდევ უფრო გამჭვირვალობა, თუმცა ამ ეტაპზე არსებული რეალობაც სტანდარტის შესაბამისია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სტრუქტურა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ხელშეკრულებები;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები.

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული მარეგულირებელი დოკუმენტაციისა ეყრდნობა შინაგანაწესს. ინტერვიუს პროცესში დასახელდა კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ მოახერხა სკოლამ კრიტიკულ სიტუაციებში პერსონალის მართვის პროცესების ეფექტური განხორციელება. სტანდარტის ამ ინდიკატორთან დაკავშირებული დოკუმენტაცია კანონმდებლობასთან შესაბამისია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს 2022 წლის 31 აგვისტოს 01-03/83 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა". რომელიც მოიცავს ზოგადი დებულებები, პოლიტიკის მიზნების, შერჩევა/გათავისუფლების მექანიზმების, მართვისა და პროცესიული განვითარების საკითხებს. პოლიტიკა შეესაბამება სკოლის რეალობას, მორგებულია მის საჭიროებებზე და რეგიონულ გამოწვევებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პორცედურები არის გამჭირვალე, უზრუნველყოფს შესაბამისი კადრის მოზიდვასა და დასაქმებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ სკოლის წინაშე რამდენიმე ყურადსაღები გამოწვევა არსებობს, რაც უკავშირდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

რეგიონებიდან კვალიფიციური კადრების გადინებასა და ქვეყნის შიდა მიგრციას. ინტერვიურების დროს დასახელდა კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ შეძლო სკოლამ მსგავს პრობლემებთან გამკლავება. პირად საქმეებში ინახება კანონით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია (როგორც პედაგოგების, ასევე ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის) შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. სკოლა ჩართულია „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემაში“. ყველა აქამდე არსებული კონკურსი ჩატარებულია კანონმდებლობის სრული დაცვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოიტიკა ეფუძნება მონაწილეობითა და გუნდური მუშაობის პრინციპებს. ინტევიურების პროცესში თვალსაჩინო იყო სკოლის სრული შემადგენლობის ჩართულობა ყველა ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ ძირითადად ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი სკოლას მომზადებული აქვს საკუთარი რეალობიდან გამომდინარე, შესაბამისად ყველა მათგანი ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პროცესები ჯერ კიდევ დასრულებული არ არის. ვიზიტის პროცესში შესამჩნევი იყო მასწავლებელთა თანამშრომლობა ერთმანეთთან და სკოლის ადმინისტრაციასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. აღსანიშნავია სკოლის თანამშრომლობა როგორც ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ასევე მისი მოტივაცია მიყვეს სიახლეებს და ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიული წინსვლას (ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში ჩართულობა, რესურს-ცენტრთან და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობა). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- კონკურსები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული საჭიროებების დადგენის მექანიზმი. პედაგოგები ჩართული არიან „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემაში“. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს მასწავლებლების მხრიდან გაკვეთილებზე ფოკუსირებული დაკვირვება კონკრეტული თემის, მიზნის , შედეგების გარშემო, აანალიზებს/გემავს ინტერვენციებს, შემდეგ კი მასწავლებლები მსჯელობენ რა გამოვიდა,რა ვერ გამოვიდა,რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი, და რა უნდა გააკეთოს სკოლამ შედეგის მისაღწევად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინტერვიურებით დასტურდება, რომ პერსონალის განვითარება ნამდვილად ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, თუმცა პროცესი უფრო არაფორმალურია. როგორ გეგმავს მასწავლებელი საკუთარ საქმიანობას, რამდენად რეფლექსიურია ეს პროცესი, როგორ აღწევს მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესებას, არის თუ არა რემედიაციის პროცესში ჩართული, როგორ აღწევს მშობლებთან ეფექტურ კომუნიკაციას და ა.შ. ამის შემდეგ სკოლა გამოკვეთს დამდგარ საჭიროებებს, მასწავლებელთა ძლიერ და გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, შემდეგ კი შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**სასურველია პროცესების მენეჯმენტის უკეთ განხორციელების მიზნით, სკოლამ შეიმუშავოს პერსონალის საჭიროებების დადგენისა და მასზე რეაგირების მექანიზმიც დოკუმენტის სახით, სადაც თავმოყრილი იქნება ზემოაღნიშნულ ინდიკატორებზე დაფუძნებული ინფორმაციის ანალიზი.**

3. ინტერვიურებით დასტურდება, რომ სკოლაში მუდმივად მიმდინარეობს ზრუნვა პერსონალის პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლა ჩართული იყო „USID დაწყებითი განათლების პროგრამაში“ „ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის“ პროექტსა და სხვა მრავალ გამოწვევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სასკოლო გარემოსთან, რაც დასტურდება ინტერვიურების პორცესში გამოვლენილი თანამშრომლობითი კულტურის არსებობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის #2-475 ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ხოლო 2020 წლის 30 ნოემბრის 2-474 ბრძანებით დამტკიცებულია ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. ხარისხის ჯგუფის მიზანია სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვასთან ერთად, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება და სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ხელმძღვანელობს გამჭვირვალობის , სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად. სკოლა ასევე მიმართავს თანამშრომელთა წახალისების გარკვეულ ფორმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის #2-475 ბრძანება;
- სკოლის დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის 2-474 ბრძანება.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტევიურების პროცესის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლის საგანმანათლებლო პროცესების მართვა ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. სასკოლო სასწავლო გეგმის, სტრატეგიული გეგმისა და სხვა ძირითადი, მსხვილი პროცესების შეფასება და მონიტორინგი გააზრებულია სკოლის მიერ როგორც აუცილებლობა წინსვლისა და განვითარებისათვის. არსებობს შეფასების, სუსტი და ძლიერები მხარეების ანალიზის დამდასტურებელი მტკიცებულებები, ასევე საჭიროებებზე მორგებული გადწყვეტილებების დაგეგმვის გამოცდილება და პრაქტიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში იდენტიფიცირებულია და აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითაი და დამხმარე პროცესები. სკოლის წესება, შინაგანწერის, კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ დაცულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის პროცედურები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტისა და სააპელაციო კომიტეტის სახით. სკოლა ცდილობს შექმნას საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის სივრცე როგორც მასწავლებლის, მოსწავლის, მშობლის, ასევე სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისათვის. სკოლა ქმნის და ახორციელებს სემესტრული გამოცდის მოთხოვნის პროცედურებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში პერსონალის უფლებები და მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებებში, რომელიც იდება სკოლასა და სკოლაში დასაქმებულ პირს შორის, ხელშეკრულების ნაწილს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესიც, რომლის გაცნობასაც ხელმოწერით ადასტურებს დასაქმებული თანამშრომელიც. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები კი გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც იდება სკოლასა და მოსწავლის მშობელს შორის. დამრიგებლებმა ინტერვიურების პროცესში დაადასტურეს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებსაც და მოსწავლეებსაც შეახსენებენ შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეგულაციებს, მათ შორის, თავიანთ უფლება-მოვალეობებსაც. მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმაში ყოველთვის გაწერილია სკოლის რეგულაციების მოსწავლის მშობლებისათვის/კანონიერი წარმომადგენლებისათვის გაცნობის ვადები, რისი შესრულებაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს შესაბამისი ოქმით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია.
- დისციპლინური საბჭოს დებულება.

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1 დაწესებულება სარგებლობს სოციალური ქსელით, სადაც ქვეყნდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. სადაც მშობლებს შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება და უკუკავშირი მიმდინარე მოვლენასთან დაკავშირებით. ინტერვიურების პროცესში დამრგიბელებმა დაადასტურეს, რომ აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს მშობლებთან საკონტაქტოდ. სოციალურ ქსელში (მესენჯერი) კლასის დამრიგებლებმა შექმნეს მშობლებისა და მოსწავლეების დახურული ჯგუფები, რომელსაც იყენებენ ინფორმაციის დროული მიწოდებისთვის. სკოლაში ყოველთვის ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, მასწავლებლებთან, რათა ინტერესისა და სურვილის შესაბამისად, საჭიროებებიდან გამომდინარე სკოლა ინტერესდებოდეს მათი ხედვით, რათა ცვლილებების აუცილელობის შემთხვევაში ყველას ინტერესი იყოს გათვალისწინებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2 სკოლა ცდილობს წაახალისოს მშობელთა ჩართულობა სასკოლო მშობლები წარმოადგენენ მშობელთა ხმას სამეურვეო საბჭოში, თითოეული საფეხურიდან თითო წარმომადგენელი, რომელიც სამეურვეო საბჭოს წევრია, მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში, ასევე ისინი მონაწილეობენ სასკოლო-სასწავლო გეგმის განხილვის და შეთანხმების პროცესში. მოსწავლეები ასევე არიან სკოლის დისციპლინურ კომიტეტის წევრებიც. სკოლაში არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წელს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით ჩატარდა საქველმოქმედო აქციები. როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ფოთშიც მწვავედ დგას მშობელთა მიგრაციის პრობლემა, რაც დამატებითი გამოწვევების წინაშე აყენებს მასწავლებლებს. დასახელდა კონკრეტული აქტივობები, რომელსაც დამრიგებელი მიმართავს აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სოციალური ქსელი;
- სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, კერძოდ სკოლაში დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული არიან უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და კვალიფიკაცია. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით (სულ შესვენებაზე გვაქვს დერეფნებში მასწავლებელთა მორიგეობა, მ კამერა). მორიგეობის განრიგი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილებზე. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ მორიგეები გაკვეთილებს შორის პერიოდში აწესრიგებენ მოსწავლეების ნაკადს დერეფანში, ხოლო გაკვეთილების მიმდინარეობისას აკონტროლებენ, რომ არ მოხდეს თვითნებურად საგაკვეთილო პროცესის მიტოვება მოსწავლის მიერ. დამრიგებლები ადგენენ მოსწავლეთა გაცდენის მიზეზს და უნებართვო გაცდენების შმთხვევაში აცნობებენ სამსახურეობრივი ბარათის საშუალებით გაცდენების შესახებ დირექციას. შესაბამისად მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოსწავლის გაცდენების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლა შესაძლებლობის ფარგლებში მუდამ ასრულებს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ზედამხედველობის დეპარტამენტის მონიტორინგის შედეგად მოცემულ რეკომენდაციებს. ყოველ წელიწადს სკოლა ახდენს ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების გადამუხტვას, სკოლას გააჩნია ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებები და საევაკუაციო გეგმა, რომელიც გამოკრულია სართულებსა და გასასვლელებში.

სკოლას ჰყავს ექიმი-უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი , და აქვს აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. ექიმის მოვალეობაა მოახდინოს დაუყოვნებელი რეაგირება მოსწავლის ან სკოლის პერსონალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ მდგომარეობაზე. შეაფასოს მდგომარეობის სიმძიმე და მიიღოს გადაწყვეტილება სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების შესახებ.

სკოლას განსაზღვრული ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დაკავებული თანამდებობით ან შესასრულებელი სამუშაოების ხასიათის მიხედვით ასრულებს სახანძრო უსაფრთხოების შესაბამის წესებს ან უზრუნველყოფს მათ შესრულებას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მონიტორინგის მიზნით სკოლას მიმართლი ჰქონდა შესაბამის უწყებაზე, ასევე საგანაგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის.

სკოლა მუდმივად ახდენს უსაფთხოების რეგულაციების განახლებაზე ზრუნვას, რაც დასტურდება სკოლის დირექტორის ივნისის წერილით საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან. აღნიშნული წერილით სკოლა ითხოვს „შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას“. ასევე საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმის შეთანხმებას. *შესაბამისობის გეგმის თანახმად პროცესი უნდა დასრულდეს 2023 წლის ნოემბრის თვეში.* შესაბამისი უწყებებიდან დაკსვნის მიღების პროცედურა სკოლას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ვიზიტის პერიოდში ჰქონდა დაწყებული. შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების მიზნით დირექციამ მიმართა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს. შესაბამისობის გეგმის წარმოდგენისას პროცესი უკვე იყო დასრულებული და ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის თანახმად, შენობის მდგომარეობა ვიზუალური დათვალიერებით არის დამაკმაყოფილებელი. დასკვნაში ასევე მოცემულია, რომ აუცილებელია დაზიანებული საევაკუაციო კიბის შეკეთება. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა აწარმოებს ვიზიტორთა რეგისტრაციის ჟურნალს, სადაც ხდება ვიზიტორის სახელის გვარის, პირადი ნომრის, ვიზიტის ადრესატის ჩანიშვნა. აკრძალული ნივთებით სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილება აკრძალულია. სკოლას ყავს 2 მანდატური, რომლებიც ახდენენ დარღვევების იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფენ სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგის დაცვას, ამ საქმეში მათ ეხმარებიან მორიგეები, რომლებიც განაწილებული არიან სკოლის ყველა დერეფანში. გამოვლენილი დარღვევები რეგისტრირდება სკოლის დარღვევების ჟურნალში და სკოლა თავის მხრივ ახდენს მათზე ადეკვატურ რეაგირებას. დადასტურდა, რომ სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისკენ მიმართული ქმედება არ რჩება სათანადო უკუკავშირის გარეშე, რაც თავის მხრივ სასკოლო საზოგადოებაში განაპირობებს დარღვევისაკენ მიმართული ქმედებების შემცირებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. ინტერვიურების პროცესში დადასტურდა, რომ სკოლაში სადამრიგებლო პორგრამების ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს ძალადობასა და მათი გამოვლენის ფორმების შესახებ მუშაობა. მასწავლებლებს გავლილი აქვთ შესაბამისი პროფესიული მომზადება. პედაგოგებმა დაასახელეს კონკრეტული მაგალითები, როდესაც მათ გარკვეული ეჭვების საფუძველზე მიმართეს მანდატურსა და სოციალუ სამსახურს, ბავშვის კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით. სკოლას ასევე ჰყავს ფსიქოლოგი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

თუმცა სამომავლოდ გეგმავს მოსწავლეთა ფსიქოემოციური მხარდაჭერის პროგრამის გაძლიერებას ინკლუზიური სპეციალისტების კონსულტაციების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

.4.. სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ამისათვის დამლაგებლებს დასასუფთავებლად გამოყოფილი აქვთ კონკრეტულად განსაზღვრული უბნები. დასუფთავებას ახდენენ როგორც შესვენებების დროს. ასევე გაკვეთილების შემდეგ. რეგულარულად ხდება ჰიგიენური საშუალებების შეძენა, მათ შესანახად გამოყოფილია სპეციალური სივრცე. სკოლას აქვს ეზო, რომელიც მუდმივად სუფთავდება, სარინელები წესრიგშია, პერიოდულად იწმინდება სანიაღვრე არხები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში დაცულია თანამშრომელთა და მოსწავლეთა პერსონალური მონაცემები, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი - საქმისმწარმოებელი. სასწავლო აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ვიდეოების გამოქვეყნება სკოლის სოციალურ ქსელში ხდება მშობლის თანხმობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. საქმისწარმოებას და სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვას ახორციელებს საქმისმწარმოებელი, რომელმაც იცის მისი საქმიანობის სფერო/წესი. ელექტრონული საქმისწარმოება მიმდინარეობს დადგენილი წესის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლაში პერიოდულად მიმდინარეობს უსაფრთხოების ნორმების დაცვის შეფასება დაკვირვების, ფორმალური და არაფორმალური შემოწმების გზით. შეფასების შედეგების ვახდენთ რეაგირებას. ჯერჯერობით ეს პროცედურები დახვეწის რეჟიმშია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის დირექტორის 22 ივნისის წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს;
- საევაკუაციო გეგმა;
- ხანძრასაწინააღმდეგო ინვენტარი და აღჭურვილობა;
- ვიზიტორთა რეგისტრაციის ჟურნალი;
- უსაფრთხოების კამერები და მათი ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;
- მანდატურის სამსახური;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:
- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის შენობა ისტორიული და აშენებულია მეოცე საუკუნის დასაწყისში. შენობა შედგება სამი სართულისაგან, რომელიც როგორც ვიზუალური დათვალიერებით ჩანს მოწესრიგებულია, თუმცა არსებობს გარკვეული გამოწვევები შენობის სიძველესთან და რეგიონის ძლიერ ნესტიან კლიმატთან დაკავშირებით. სკოლის დირექციის მიზანია უკეთესი პირობები შეუქმნას მოსწავლეებს და პირველი სართული აღარ იყოს გამოყენებული საკლასო სივრცეებად (ნესტის გამო). აღნიშნული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

საჭიროებს შენობის გეგმა-პროექტში ძირეულ ცვლილებებს (მოშენების გაკეთებას) რომლის ფინანსური რესურსი თავად სკოლას არ გააჩნია. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული რესურსით სკოლა შეძლებს მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული ოდენობისათვის (550) სასწავლო პროცესის განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისიერი პირისთვის. კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სამედიცინო კაბინეტი, სპორტდარბაზი, საგნობრივი კლასკაბინეტები ქმნიან ერთობლიობაში საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურას და მატერიალურ რესურსს მინიმუმ 6 წლით და საკმარისია 550-მდე მოსწავლისათვის. ინტერვიურების დროს დადასტურდა თვითშეფასების განაცხადში აღნიშნული ფაქტი - სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლისათვის კომპიუტერით სარგებლობის საერთო სივრცის მოწყობას როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებისათვის; გარდა ამისა იგეგმება ციფრული ტრანსფორმაციის პროექტის ფარგლებში სკოლის კომპიუტერების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც სკოლას საშუალებას მისცემს უფრო მეტი მოსწავლე უზრუნველყოს კომპიუტერული მომსახურებით როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისევე სხვა აქტივობების შესრულებისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. თანაბარი ხელმისაწვდომობა სასკოლო რესურსებისა უზრუნველყოფილია ნებისმიერი მოსწავლისათვის. სკოლას ყავს ეტლით მოსარგებლე მოსწავლე, რომლისთვისაც სათანადო რესურსები განთავსებულია პირველ სართულზე. სკოლას არა აქვს ლიფტი. სკოლაში ფუნქციონირებს რესურს-ოთახი სათანადო აღჭურვილობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტუა ემსახურება მის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლას მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფილი აქვს სათანადო სივრცეები არაფორმალური განათლების აქტივობების განხორციელებისათვის. მასწავლებელთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა აქტიურად ცდილობს წვლილი შეიტანოს როგორც

მშობელთა პედაგოგიზაციაში, ასევე რაიონის განვითარებაში სხვადახვა პროექტებით. სკოლის ინფრასტრუქტურა (ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, საკლასო ოთახები) ემსახურება მოსწავლეების ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმის განხორციელებისათვის აუცილებელი საგანმანათლებლო რესურსები - საკლასო ოთახები, კაბინეტები, ბიბლიოთეკა, სპორტდარბაზი, სამედიცინო ოთახი, რესურსოთახი, ლაბორატორიები. ყველა მათგანი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შენობა-ნაგებობის აზომვით ნახაზები;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით;
- ინვენტარიზაციის მასალები, მატერიალური რესურსის შესყიდვის დამდასტურებელი დოკუმენტაცია.
- ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია 8 პერსონალური კომპიუტერით, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა ასევე აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით. ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში სკოლას გადმოეცა 41 ლეპტოპი. სკოლას ასევე აქვს ჭკვიანი დაფა. **მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე სასურველია კომპიუტერული ტექნიკის ზრდა, რის აუცილებლობასაც თავად სკოლაც აცნობიერებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. ინტერვიურების პროცესში სკოლამ დაადასტურა, რომ ჩართულია ციფრული ტრანსფორმაციის პროგრამაში, და მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა მიიღებს კომპიუტერულ ტექნიკას, პროეტორებს, პრინტერებს. ეს ნიშნავს, რომ სკოლის შესაძლებლობები გაცილებით გაიზრდება.- შეიქმნება კომპიუტერული ტექნიკით საერთო სარგებლობის სივრცეები მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, დაიგეგმება სარგებლობის განრიგი, ბრძანებით დაინიშნება ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირები. სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში- ბიბლიოთეკაში მოსწავლეებს ექნებათ წინასწარ დადგენილი განრიგით არასაგაკვეთილო დროს ისარგებლონ კომპიუტერული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ტექნიკითა და ინტერნეტით; ასევე საერთო სარგებლობის სივრცე გამოიყოფა მასწავლებელთათვის სამასწავლებლოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კომპიტერული ლაბორატორია;
- ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება;

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აღნიშნული დოკუმენტი სკოლას მიღებული აქვს ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურს ცენტრისაგან. დოკუმენტი საჭიროებდა განახლებას და კანონმდებლობაში არსებულ ცვლილებებზე მორგებას. შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის ეტაოზე სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 29 წექტელბრის 2-145 ბრძანება, რომლის მიხედვით დამტკიცებული იყო განახლებული საქმისწარმოების წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

2. სკოლას აქვს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა Eflow. რომლის მეშვეობითაც ხდება ურთიერთობა სხვა ორგანიზაციებთან თუ მაკონტროლებელ სტრუქტურებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დასტურდება, რომ სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებსა და უკუკავშირს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით მაკონტროლებელ უწყებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის ელექტრონული პროფილი;
- Eflow;
- გასული კორეპპოდენციები მაკონტროლებელ უწყებებთან.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას გააჩნია ვებგვერდი, შესაბამისად, საზოგადოებასთან კომუნიკაციას ახორციელებს სოციალური ქსელის მეშვეობით, ასევე სხვა საინფორმაციო პლატფორმების გამოყენებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სოციალური ქსელის შესწავლისა და ინტერვიურების საშუალებით დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად რაც დასტურდება სკოლის მიერ განხორციელებული პროექტებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას გააჩნია მოქმედი ვებგვერდი,** როგორც ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა გეგმავდა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის აღნიშნულის უზრუნველყოფას. შესაბამისობის გეგმით სკოლამ წარმოადგინა ვებგვერდი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

5. **სკოლას გააჩნია მოქმედი ვებგვერდი, რომელიც** შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები. სკოლის შესაბამისობის გეგმის თანახმად განსაზღვრულლია პირი, რომელიც პასუხისმგებელია ვებგვერდზე სრულყოფილი ინფორმაციის განთავსებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სოციალური ქსელი;
- სკოლის ვებგვერდი
- ვებგვერდის წარმოებაზე ასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

### 3.7. ფინანსური რესურსები

#### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. გამომდინარე მოსწავლეთა მზარდი რაოდენობიდან, სკოლის ამჟამინდელი ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას, თუმცა ისეთ კაპიტალურ ხარჯებთან რაც შენობა-ნაგებების აშენება/რეაბილიტაციისათვის იქნება საჭირო, აუცილებელია გარე მხარდაჭერა.
2. სკოლა კათედრებიდან იღებს ინფორმაციას საჭირო რესურსების შესახებ საჭირო მატერიალური და არამატერიული რესურსების ნუსხის შესახებ, რის შემდეგაც იგეგმება შესყიდვები, და ფინანსური მართვის მონაწილეობითი პრინციპი ერთად წარმოადგენენ ფინანსური რესურსების ეფექტიანი წარმართვის შესაძლებლობას. ბიუჯეტის მონიტორინგი ხორცილდება კანონმდებლობის შესაბამისად.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სკოლის ბიუჯეტი;**

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა ხელმძღვანელობს სასკოლო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავებული შინაგანაწესით. მასში გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მათი დაცვის გარანტიები. დოკუმენტში მოცემულია მოსწავლეთა უსაფრთხოება,

ხარისხიანი განათლების მიღების უფლება, უფლებების შესახებ ინფორმირებულობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, გამოხატვის, შეკრების და რწმენის თავისუფლება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სკოლას ჰყავს შენობაში შემომსვლელ-გამსვლელ პირებზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც აკონტროლებს უცხო პირთა შემოსვლას სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე; არსებობს ვიდეო მონიტორინგი და მანდატურის სამსახური. მოსწავლეთა უსაფრთხოება დაცულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებაში სხვადასხვა ხერხით. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე; დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ სადამრიგებლო პროგრამები, რომელთა საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა უფლებების და მოვალეობების გაცნობა მოსწავლეებთვის და მათ მშობლებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებულია ხელშეკრულება. მკაფიოდაა გაწერილი უფლებები და მოვალეობები. გათვალისწინებულია მოსწავლის კანონიერი ინტერესები, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის გარანტიები, ხარისხიან ცოდნაზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხელშეკრულებები;
- საინფორმაციო დაფა;
- სადამრიგებლო პროგრამები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებაში ვიზიტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის დათვალიერების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვა, ამორიცხვა და მობილობა ხდება ვადებისა და კანონმდებლობის სრული დაცვით. აღნიშნული უზრუნველყოფილია სათანადო მარეგულირებელი დოკუმენტაციით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. მოწესრიგებული აქვთ საქმისწარმოების კანონით გათვალისწინებულ ნორმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მე-4 კლასის მოსწავლეებს სკოლა სთავაზობს მეორე უცხო ენის არჩევანის შესაძლებლობას რუსულსა და გერმანულს შორის. მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია როგორც ზეპირი ასევე წერილობითი ფორმით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა უზრუნველყოფს წლიური გამოცდების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას მშობლებისათვის. წლიური გამოცდები ტარდება მე-7 კლასიდან, მხოლოდ ორ საგანში. ინფორმაცია გამოცდების შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირებისათვის თიმსის პლატფორმაზე, მეილების, მესენჯერ ჯგუფების, სკოლის facebook-გვერდის მეშვეობით, სკოლის საჯარო სივრცეში, საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ინფორმაციის გავრცელება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, მისი ყველა დოკუმენტი გამჭვირვალეა და თანხვედრაშია განათლების შესახებ საქართველოს კანონთან. მათი გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხორციელდება საჯაროდ: საინფორმაციო დაფის, სოციალური ქსელების, მეილებით. დასტურდება (მტკიცებულებები): **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხელშეკრულებები;
- საინფორმაციო დაფა;
- სადამრიგებლო პროგრამები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას ხელს უწყობს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სკოლაში გადასულ მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობისთვის სკოლა სასწავლო წლის დაწყებამდე აწყობს ახლომდებარე სააღმზრდელო დაწესებულებებში შეხვედრებს, სადაც

მშობლებს აცნობს სკოლას, მის ინფრასტრუქტურას, დაგეგმილ ღონისძიებებს. სსსმ მოსწავლის დარეგისტრირების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია და სპეც. მასწავლებელი მშობელთან თანამშრომლობას იწყებენ. სასწავლო პროცესის დაწყების დღეს მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სკოლის ინფრასტრუქტურას, ქცევის წესებს, ქმნის პოზიტიურ განწყობას. მობილობის შემთხვევაში ჩარიცხულ მოსწავლეს მშობელთან ერთად გაესაუბრება ადმინისტრაცია, აცნობს დამრიგებელს, შემდეგ კი დამრიგებელი აცნობს კლასს რათა მოსწავლემ მარტივად გაიაროს კლასთან ადაპტაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საკლასო ოთახებში ასაკის შესაბამისი მერხები და სკამებია დალაგებული. სკოლას აქვს პანდუსი და ადაპტირებული საპირფარეშო. ვინაიდან სკოლაში ირიცხება ერთი ეტლით მოსარგებლე მოსწავლე, მასზე მორგებულია საჭირო ინფრასტრუქტურა. პირველ სართულზეა საკლასო ოთახი, რესურს ოთახი, სპორტული დარბაზი, ბუფეტი და საპირფარეშო. სკოლას არ გააჩნია ლიფტი, თუმცა მიმართვა გაგზავნილია ინფრასტრუქტურის სამინისტროში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის საკონსულტაციო სისტემა. სკოლაში მოქმედებს რემედიაციის პროგრამა, გამოცდებისა და სადიაგნოსტიკო შეფასებების დაწყებამდე ხდება მოსწავლეთა მხარდაჭერა საჭიროებების შესაბამისად კონსულტირებისა და რემედიაციის გზით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; მაგ: ფსიქოლოგის დროული კონსულტაცია. ექიმის მყისიერი მხარდაჭერა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა ხელს უწყობს და ახალისებს მოსწავლეთა მონაწილეობას სხვადასხვა ტიპის არაფორმალურ აქტივობებში. კერძოდ, გარემოს დაცვა, ადამიანის უფლებები, კულტურული მემკვიდრეობა, პროფესიული ორიენტაცია, სამოქალაქო

განათლება და სხვა. სკოლაში ფუნქციონირებს არაფორმალური განათლების ხელშემწყობი კლუბები: ეკოკლუბი; დებატკლუბი; ახალგაზრდული ტექნოლოგიური კლუბი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლაში განთავსებულია ე.წ. „მწვანე ყუთი“, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ განათავსონ საკუთარი მოსაზრებები და ანონიმურად მიაწოდონ ხმა სკოლის ადმინისტრაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ინტერვიურება;
- ვიზუალური დათვალიერება.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის განვითარებას სხვადასხვა პროექტებისა და აქტივობების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის დროს ინტერვიუებში დაგვიდასტურეს, რომ დამრიგებლები კლასის საათის ფარგლებში ატარებენ საუბრებს მოსწავლეებთან კარიერული დაგეგმვის მიმართულებით. სკოლა ასევე პერიოდულად უზრუნველყოფს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლების საინფორმაციო შეხვედრის ორგანიზებას. მიმდინარე სასწავლო წლის აპრილსა და მაისში დამრიგებლებმა მოსწავლეებთან ერთად ეწვივნენ ქალაქში არსებულ პროფესიულ კოლეჯს -„ფაზისი“.

2. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან. მოსწავლეებს პერიოდულად აცნობს ინფორმაციას ერთიანი ეროვნული გამოცდების თუ პროფესიული სასწავლებლების შესახებ; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სადამრიგებლო პროგრამები;

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, ისგ, ადაპტირებული ღონისძიებები, ჯგუფი. ისგ შემუშავებულია ისგ-ს ჯგუფის მიერ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით. სსსმ მოსწავლის განვითარება მხარდაჭერილია სკოლის სასწავლო გეგმით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. ამჟამად სკოლაში ირიცხება 6 სსსმ მოსწავლე. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობს სპეციალური მასწავლებელი და ფსიქოლოგი. სკოლაში შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს ინკლუზიური განათლების მონიტორინგს. სკოლას აქვს მულტიდისციპლინური ჯგუფის შეხვედრის ოქმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მულტიდისციპლინური ჯგუფის შეხვერის ოქმიები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში ფუნქციონირებს ფასიანი წრე: ცეკვა; ფუნქციონირებს ბუფეტი, ფართი გაცემულია აუქციონის წესით იჯარით კანონმდებლობის დაცვით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობა ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

3. იჯარის ხელშეკრულებით სკოლას ახორციელებს ეკონომიკური საქმიანობას კანონის შესაბამისად. კერძოდ იჯარით აქვს სკოლას გადაცემული ფართი ბუფეტისათვის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება**

**I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი**

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური) | ☐ შეესაბამება<br>X მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>X მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**
**2.1. კურიკულუმის შემუშავება**
**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია სრულად იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას; ინტერვიუს დროს კათედრების წევრებმა აღნიშნეს რომ კათედრის სხდომებზე მასწავლებლები ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს. სასწავლო პროცესში კითხვარის საშუალებით მშობლებისგან იღებენ ინფორმაციას მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ რომელსაც იყენებენ კომპლექსური დავალებებზე მუშაობის დროს რესურსებისა და აქტივობების შერჩევისას. ასევე კათედრაზე გეგმავენ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან (საფეხურის შედეგი, სამიზნე ცნება) მიმართებით მოსწავლეების პროგრესის ხელშესაწყობად პროექტებს, ინტეგრირებულ გაკვეთილებს, სსსმ მოსწავლეებისთვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით სკოლამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა სასწავლო კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც გაწერილია შუალედური მიზენები, რესურსები და კომპლექსური დავალების იდეები. ***თუმცა შემდეგში სასურველია უფრო მეტად დაიხვეწოს მეთოლოგიური ჩარჩო, სასკოლო საზოგადოებას აღნიშნული მიმართულების უფრო მეტად დახვეწისთვის, რჩევის სახით ვთავაზობთ შეიქმნას საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ისეთი რუბრიკა, როიმელიც მორგებული იქნება საგნობრივი ცნებებზე მუშაობის გაანალიზებასა და შემდეგში მოდიფიცირებას.***

***საფეხურის ყველა ძირითადი*** საგნობრივი კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ,მართალია ზოგიერთ კურიკულუმს (ბუნებისმეტყველება) ამ ეტაპზე დასრულებული სახე არ აქვს, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრებისა და მათ მიერ წარმოდგენილი ნიმუშების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მათ აქვთ უნარი, მზაობა და შესაძლებლობა პროცესი დაგეგმონ როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები , ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში სრულად არის ასახული სასკოლო საზოგადოების ინტერესები. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები, ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. კურიკულუმებში ჩაშენებულია ესგ-ით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და მაკროცნებები , გეგმა ორიენტირებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მოსწავლეთა გლობალურ ფუნქციურ უნარებზე ,რაც დასტურდება სკოლის მიერ დაგეგმილ და უკვე განხორციელებული საკლასო თუ სასკოლო აქტივობებით. კურიკულუმებში შეტანილი თემები მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კურიკულუმებში არსებული მოცემულობა ნათლად პასუხობს მნიშვნელოვან შეკითხვებს სასწავლო პროცესში მონაწილე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. როგორც დოკუმენტურად, ასევე ინტერვიურების პროცესში დადასტურდა, რომ კათედრის შეხვედრაზე მასწვლებლები ერთობლივად შეიმუშავებენ საგნობივ კურიკულუმებს. კათედრის სხდომის ოქმების და ინტერვიუზე მიღებული ინფორმაციის საფუძვლზე ნათელი ხდება რომ, კურიკულუმის შემუშავება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების მიერ მთელი წლის მანძილზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმი სრულიად გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დადასტურდა, რომ პედაგოგები მშობლებს სასწავლო წლის მანძილზე  აცნობენ კურიკულუმში ჩამოყალიბებულ შუალედურ მიზნებს. ამ მიზნით  იყენებენ პირისპირ ჩატარებულ კრების ფორმატს; გარდა ამისა, მასწავლებლებს და მშობლებს სოციალური ქსელში აქვთ საერთო, კლასის ფეისბუქ-ჯგუფები, სადაც პერიოდულად ხდება მშობელთა ინფორმირება, სასწავლო საკითხების და კომპლექსური დავალებების გაცნობა მშობლის ბარათის მეშვეობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- ინტერვიურება.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები სრულად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმებში შეტანილი თემები მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ჩანს, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. გარდა კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებისა სკოლა აქტიურად იყენებს არაფორმალურ განათლებასაც, რაც გამოიხატება სკოლაში მოქმედი მრავალფეროვანი კლუბებითა და სხვადასხვა აქტივობებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შემუშავებული კურიკულუმი/ები სრულად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმებში შეტანილი თემები მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, იძლევა მოქნილ სასწავლო გარემოს. კურიკულუმში მოცემული დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით. შემოთავაზებული მრავალფეროვანი რესურსები და სასწავლო მასალა იძლევა მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას. ინტერვიუზე პრაქტიკის გაზიარებისას მასწავლებლებმა დაასახელეს მოსწავლეთა საჭიროების დასადგენად გამოყენებული ინსტრუმენტები: დაკვირვება, მშობელთა გამოკითხვა, კომპლექსური დავავლებების განმავითარებელი შეფასებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და მოიყვანეს მაგალითები თუ რა ინტერვენციებს მიმართავენ პრობლემების

გადასაჭრელად. აღსანიშნავია კათედრაზე სსსმ მოსწავლეებისთვის შეიმუშავებენ ინდივიდულურ სასწავლო გეგმებს. კათედრაზე დაგეგმილი პროექტები ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. აღსანიშნავია ასევე რიგ კათედრებზე თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პრაქტიკების აქტიური გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება სრულად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები გვეხმარება დავინახოთ თუ როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება; ასევე გვაჩვენებს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. კათედრების მიერ მოწოდებულ დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკები და ასევე შემაჯამებელი დავალებების კომბინირებული ტესტების შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაგეგმვის პროცესში სრულად გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას კათედრაზე ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებებსა და გამოწვევებს როგორიცაა: მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგების, მშობლების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები. პედაგოგები ასევე აქტიურად თანაშრომლობენ ადმინისტრაციასთან, იცნობენ სკოლის მისიასა და ხედვას, რომელსაც ეყრდნობა სასწავლო კურიკულუმი, ამასთან ერთად ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგემა სასკოლო პროცესზე დაკვირვების პროცესში გამოკვეთეს მოსწავლეების მზაობა, ინტერესი და შესაძლებლობები, რომელსაც დაყედნო სამომავო წლის კურიკულუმით გათვლიწინებული შუალედური მიზნები.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილების დამადასტურებელი

მასალებიდან ჩანს, რომ საკლასო აქტივობები გათვლილია საგანთაშორის კავშირების დემონსტრირებაზე . და ემსახურება მოსწავლეთა ცოდნის სისტემატიზაციას . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების დამადასტურებელი მასალები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

